



სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

კოლეჯის მისია

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მისიაა მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის. რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, კოლეჯი ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და მომსახურების სფეროზე, რითაც ხელს უწყობს რეგიონის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებას.

კოლეჯი:

- ნერგავს თანამედროვე ტექნოლოგიებს
- ზრუნავს კადრების მუდმივ განვითარებაზე
- ამყარებს კავშირებს კერძო სექტორთან და უცხოელ პარტნიორებთან
- ხელს უწყობს სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვას
- ხელს უწყობს დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობასა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას პროფესიული გადამზადების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შეთავაზებით
- ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა და თვითდასაქმებაში კონსულტირების გზით
- აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საერთო მიზნების (კვალიფიციური კადრების მომზადება და ეკონომიკის განვითარება) მისაღწევად.